საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასება

დამკვეთი: შპს „ვაზისუბანი 18“

მისამართი: ქ.თბილისი, შანდორ პეტეფის ქ #27

საკ.კოდი: 01.17.10.005.082

თარიღი: 23.12.2019 წ
ტერიტორიაზე არსებული და შეფასებული მწვანე ნარგავების საერთო: 35

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, დიამეტრის და მდგომარეობის შესახებ

ცხრილი N 1

N	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	Do დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ბალი Prunus avium	ხე	23,0	4,0	ჯანსაღი	
2	თეთრი თუთა Morus alba	ხე	12,0	3,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
3	დაფნა Laurus nobilis	ხე	2,0-2,5	0,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
4	ბროწეული Punica granatum	ხე	5,5	3,0	ჯანსაღი	
5	ჭერამი Prunus armeniaca	ხე	20.0	4,0	ჯანსაღი	
6	თეთრი თუთა Morus alba	ხე	12,5	4,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
7	ჭერამი Prunus armeniaca	ხე	17,0	5,5	ჯანსაღი	
8	ბროწეული Punica granatum	ხე	7,3	3,5	ჯანსაღი	ორღეროიანი მეორე ღერო გადაჭრილი
9	ლეღვი Ficus carica	ხე	18,0	5,5	წვერხმელი	
10	კაკალი Juglans regia	ხე	13,5	6,0	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
11	ვაშლი Malus sp.	ხე	8,5	4,0	ჯანსაღი	

12	ალუბალი Prunus cerasus	ხე	11,0	3,5	ზეხმელი	
13	ბროწეული Punica granatum	ხე	11,0-13,0	4,0	ჯანსაღი	
14	ქლიავი Prunus domestica	ხე	13,0	4,0	ჯანსაღი	
15	თეთრი თუთა Morus alba	ხე	14,5-15,0	5,5	ჯანსაღი	ორღეროიანი შესაძლებელია გადარგვა
16	ქლიავი Prunus domestica	ხე	8,0	3,0	ჯანსაღი	
17	კანადური ვერხვი Populus x canadensis	ხე	113,0	10,0	ხმობადი	
18	ხურმა (კარალიოკი) Dyospiros kaki	ხე	12,0	3,0	ჯანსაღი	
19	თეთრი თუთა Morus alba	ხე	8,5-9,0	4,0	ჯანსაღი	ორღეროიანი შესაძლებელია გადარგვა
20	აღმოსავლეთის ტუია Platycladus orientalis	ხე	10,0	4,0	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
21	ქლიავი Prunus domestica	ხე	5,0	1,2	ჯანსაღი	
22	ალუბალი Prunus cerasus	ხე	12,0	3,0	ჯანსაღი	
23	ალუბალი Prunus cerasus	ხე	3,0-5,0	1,0- 2,0	ჯანსაღი	ჯგუფი
24	თეთრი თუთა Morus alba	ხე	12,0	4,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
25	ქლიავი Prunus domestica	ხე	10,5	3,5	ჯანსაღი	
26	ალვის ხე Populus pyramidalis	ხე	152,0	10,0	ხმობადი	
27	ალვის ხე Populus pyramidalis	ხე	95,0	8,0	ზეხმელი	
28	თეთრი თუთა Morus alba	ხე	8,5-13,0	5,0	ჯანსაღი	მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა
29	ლეღვი Ficus carica	ხე	9,0-19,0	4,5	ჯანსაღი	მრავალღეროიანი
30	თეთრი თუთა Morus alba	ხე	9,5-12,5	5,0	ჯანსაღი	მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა
31	ლეღვი Ficus carica	ხე	11,5-32,0	5,0	ჯანსაღი	მრავალღეროიანი

32	ლეღვი Ficus carica	ხე	9,5-29,0	4,5	ჯანსაღი	მრავალღეროიანი
33	ლეღვი Ficus carica	ხე	10,0-35,5	5,0	ჯანსაღი	მრავალღეროიანი
34	თეთრი თუთა Morus alba	ხე	63,0	6,0	ჯანსაღი	
35	ამერიკული ნეკერჩხალი Acer negundo	ხე	19,0-39,0	5,0	ჯანსაღი	

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ აღწერილი 35 მერქნიანი მცენარიდან ყველა ინდივიდის სასიცოცხლო ფორმა არის ხე.

ზემოაღნიშნულიდან:

საექსპერტო ობიექტზე იდენტიფიცირებული მცენარეების უმრავლესობა ხეხილოვანი კულტურებია. შეფასებული მცენარეებიდან # 12 და # 27 ზეხმელია, ხოლო # 17 და # 26 არის ხმობადი ეგზემპლარები.

1. **კანადური ვერხვი - Populus x canadensis** (#17) არის ხნოვანი, წვერხმელი, დიდტანოვანი და ამორტიზირებული. ფესვის ყელთან დაფიქსირდა ღია დიდი ფუღურო. ღეროს მთელ სიგრძეზე ფიქსირდება მავნებლის ოვალური ფორმის სასვლელები. ვარჯში აღინიშნება ტოტების ხმობა და რამდენიმე ტოტი ჩამოტეხილია.

2. **ალვის ხე - Populus pyramidalis** (#26) არის ხნოვანი, წვერხმელი, დიდტანოვანი და ამორტიზირებული. ღეროს მთელ სიგრძეზე ფიქსირდება მავნებლის ოვალური ფორმის სასვლელები და მრავლობითი ღია ფუღუროები. ვარჯში ტოტების უმრავლესობა ხმელია და ქვედა რამოდენიმე ტოტი ჩამოტეხილია.

ორივე ეგზემპლარი ხნოვანი, გადაბერებული, დაზიანებულია და მკურნალობას არ ექვემდებარება. დაზიანების და დაავადების ხარისხიდან გამომდინარე ქარქცევადი და ძალიან საფრთხის შემცველია.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემრის #17-55 დადგენილების 21' მუხლის 'ვ' პუნქტის თანახმად - სწრაფმზარდი სახეობების (ვერხვი, აკაცია, ტირიფი) მწიფე და გადაბერებული ინდივიდებისათვის, რომელთა საამორტიზაციო ხნოვანება 40-50 წელია გადარგვას არ ექვემდებარებიან.

გადარგვის პროექტი

(იხ.ცხრილი #1)

პატარა ზომის მერქნიანი ხეების გადარგვის მეთოდოლოგია

დიამეტრი 25 სმ-მდე

თეთრი თუთა - Morus alba 7 ძირი #2 (D –12,0), #6 (D –12,5), #15 (D – 14,5-15,0), #19 (D – 8,5-9,0), # 24 (D –12,0), # 28 (8,5 -13,0), # 30 (D –9,5 - 12,5);

დაფნა - Laurus nobilis 1 ძირი #3 (D - 2,0-2,5);

კაკალი - Juglans regia 1 ძირი #10 (D - 13,5);

აღმოსავლეთის ტუია - Platycladus orientalis 1 ძირი #20 (D - 10,0);

სულ 10 ეგზემპლარი, რომელთა დიამეტრი 25 სმ-მდეა (გადარგვის მეთოდოლოგია იხ. ქვემოთ).

ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია ტექნიკის გამოყენებით). გადასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს სარეველა მცენარეებისგან, ქვებისაგან და ნაგვისაგან, ხოლო შემდეგ გაწმენდილი ადგილი მოიხნას და გადაიფარცხოს.

მერქნიანი ხე-მცენარის ამოღება და დარგვა:

- გადარგვა შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით. ხელით გადარგვა ხორციელდება ორი მეთოდით ნიადაგის გუნდით (კომით) და შიშველფესვიანი ნერგებით;
- ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; მცენარეების ნერგებს უნდა ქონდეთ „მიწის გუნდა“, მიწის დიამეტრით არანაკლებ ხის სიმაღლის 1/5-სა, სიღრმით - არა ნაკლებ 1/6-ისა.
- გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
- ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი ორგანული სასუქი (ტორფი, ან გადამწვარი ნაკელი);
- ორმოში ჩარგული ნერგის ფესვები უნდა გასწორდეს და მიეყაროს პირველი ბარის პირით ამოღებული მიწა. ფესვებზე მიყრილი მიწა თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს, შემდეგ ორმო უნდა ამოივსოს მეორე ბარის პირით ამოღებული მიწით;
- ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
- ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან საყრდენზე (ჭიგო, სარი, და სხვ);
- ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

მერქნიანი ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

- მოვლის ღონისძიებები დარგვიდან პირველი 3 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს. პირველ წელს სისტემატიურად უნდა ხდებოდეს ხეების ირგვლივ ჯამების გამარგვლა - გაფხვიერება და მორწყვა;
- მოსალოდნელი მავნებლების და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა;
- ხის მოვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ხის ვარჯის ფორმირება. ხის დეკორატიულობა დამოკიდებულია საღ და კარგად ფორმირებულ ვარჯზე;
- ხის ფორმირება ახალგაზრდობისას საჭიროა ინტესიურად, სიბერეში კი - ხეს აჭრიან ხმელ ტოტებს. გამწვანებაში, ნარგავების მოვლა მიმდინარეობს სიცოცხლის მანძილზე;
- გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე სასურველია განხორციელდეს სერთიფიცირებული მიკროელემენტების და სასუქების გამოყენება.

შემსრულებელი: **მარინე სირაძე**

ექსპერტი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01173631735**
თარიღი: **29/12/2017**

ადრესატი: შპს ბალავარი-ვაზისუბანი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405164600
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას ჩიხი, N5, ბ. 4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 14 ნოემბრის #10/01173182121-18 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ პ. ტოგონიძის, ნ. ერაძის და ქ. თავართქილაძის 2017 წლის 21 სექტემბრის #02-22/380 საექსპერტო დასკვნა), რომლითაც ითხოვთ თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქ. #27 საკ/კოდ 01.17.10.005.082) ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს მე-3 თავის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური გასცემს 2 ძირი თეთრი თუთის (#28,30) მოჭრის ნებართვას, მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის, ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდის ქვითრის და საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების წარმოდგენის შემთხვევაში.

რაც შეხება #34 თუთის ხე-მცენარის მოჭრის საკითხს, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოჭრის ნაცვლად განხილულ იქნას ხე-მცენარის გადარგვის ალტერნატივა.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, წარმოადგინოთ უფლებამოსილი პირის მიერ გადარგვის შესაძლებლობაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა, გადარგვის პროექტი (გადასარგავი ტერიტორიის მითითებით) და k^3 კოეფიციენტის ფარგლებში დენდროლოგიური პროექტი.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური-
სამსახურის უფროსი

გიგა
გიგაშვილი

0160
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების
განვითარების სააგენტო
ჟ. შარტავას, 7

საქართველო

ქ. თბილისის მერია

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური

ქ.თბილისი ქუჩა შანდორ პეტეფის № 27. 1304.00კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ს/კ № 01.17.10.005.082 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს — საცხ. შენობა	ბორდიული	ჭიშკარი	
ქა — არასაცხ. შენობა	ხის ღობე	ბეტონი	
ფარდული	ღობე	წ — წყალგაყვანილობა	
მშენებარე შენობა	ქვის კედელი	გ — გაზი	
სატრანსფორ. ჯიხური	კედელი	კ — კანალიზაცია	
ხეები	ფლატე	სან — სანიაღვრე	
გარე განათება	რკინიგზა	კგ — კავშირგაბმულობა	
	სამეთვალყურეო ჭები	ელ. ქსელები	
	ელ. გადამცემი ხაზი	თგ — გათბობა	

შენიშვნა:1) ——— ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

შპს „ბიემჯი გრუპ“

საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14

მობ: 598 667070; 577 158039

LTD `BMG GROUP~

14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:	ზ. ბასილაძე
აზომა:	რ. გირგვლიანი
დახაზა:	რ. გირგვლიანი
დამკვეთი:	შპს. "ზალავარი-ვაზისუბანი
მასშტაბი: 1:500	28.02.2017წ.


კ3 კოეფიციენტი დადგენილი არსებული ნაკვეთისთვის
კ1 = 249,9 მ2
არსებულ ხე ნარგავები
7 ცალი
N35 - ამერიკული ნეკერჩხალი
N15 - თუთა
N10 - კაკლის ხე
N6 - თუთა
N2 - თუთა
N20 - აღმოსავლური ტუია
N3 - დაფნა
გადასარგავი ხე-ნარგავები:
3 ცალი
N34 - თეთრი თუთა
N24 - თეთრი თუთა
N19- თეთრი თუთა
მოსაჭრელი ხე-ნარგავები:
25 ცალი
N33 - ლეღვი
N32 - ლეღვი
N31 - ლეღვი
N29 - ლეღვი
N27 - ალვის ხე
N26 - ალვის ხე
N23 - ალუბალი
N22 - ალუბალი
N17 - კანადური ვერხვი
N16 - ქლიავი
N14 - ქლიავი
N25 - ქლიავი
N28 - თეთრი თუთა (იხ. დასკვნა)
N30 - თეთრი თუთა (იხ. დასკვნა)
N13 - ბროწეული
N12 - ალუბალი
N11 - ვაშლი
N9 - ლეღვი
N8 - ბროწეული
N7 - ჭერამი
N5 - ჭერამი
N4 - ბროწეული
N1 - ბალი
N18 - ხურმის ხე
N21 - ქლიავი